CAUCASIAN
WIND COMPANY
GRPC

N 016
14/05/2020

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
მინისტრს, ბ-ნ ლევან დავითაშვილს
(მისამართი: მარშალ გელოვანის გამზ. N6,
თბილისი 0159, საქართველო)

საგანი: გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე
განცხადებაზე დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა

ბ-ნო ლევან,

ჩვენი მიმდინარე წლის 08 მაისის N013 წერილთან (სამინისტროში რეგისტრაციის N7080 11.05.2020) დაკავშირებით, რომელიც ეხება სს „კავკასიის ქარის კომპანიის" კასპის ქარის ელექტროსადგურის (დადგმული სიმძლავრე 54 მგვტ) მშენებლობა და ექსპლუატაციის პროექტზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე განცხადებას, დამატებით წარმოგიდგენთ „სს „კავკასიის ქარის კომპანიის" კასპის ქარის ელექტროსადგურის (დადგმული სიმძლავრე 54 მგვტ) მშენებლობისა და ექსპლუატაციის, 110 კვ ეგხ-ის გაყვანის და 110 კვ ქვესადგურის განთავსების პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 29 ნოემბრის N2-1167 ბრძანებით გაცემული სკოპინგის დასკვნით N126 (26.11.2019 წ.) მოთხოვნილ ინფორმაციას, ციხისძირის ქვიშა-ხრეშის საბადოსთან კვეთაში მოქცეული საპროექტო ტერიტორიის სსიპ „წიაღის ეროვნულ სააგენტოსთან" შეთანხმების თაობაზე.

<u>**დანართი**</u>: სს „კავკასიის ქარის კომპანიასა" და სსიპ „წიაღის ეროვნულ სააგენტოს" შორის არსებული კორესპონდენცია ციხისძირის ქვიშა-ხრეშის საბადოსთან კვეთაში მოქცეულ საპროექტო ტერიტორიაზე (7282 m^2) არსებული სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) (21846 m^3) სანაცვლოდ საკომპენსაციო თანხის გადახდის თაობაზე.

პატივისცემით,

ზურაბ გორდეზიანი
სს „კავკასიის ქარის კომპანიის"
გენერალური დირექტორი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი
№ 7349
"14" 05 2020
1 ფ.
+ 03 +

CAUCASIAN
WIND COMPANY
GRPC

N 014
11/05/2020

სსიპ „წიაღის ეროვნული სააგენტოს“
უფროსს, ქ-ნ მაია ზავრაშვილს
(მის: დ. აღმაშენებლის გამზ. N150,
თბილისი 0112, საქართველო)

ქალბატონო მაია,

გაცნობებთ, რომ სს „კავკასიის ქარის კომპანიასა“ (ს/ნ 404519865, შემდგომში **„კომპანია“**) და საქართველოს მთავრობას შორის „კასპის ქარის ელექტროსადგურის“ მშენებლობის, ფლობის და ოპერირების თაობაზე 2017 წლის 04 მაისს გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის (შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით) საფუძველზე, „კომპანიის“ მიერ კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. ზემო რენეს, სოფ. ქვემო რენეს, სოფ. იგოეთის, სოფ. მრგვალი ჭალას და სოფ. გამდლისწყაროს თემების ტერიტორიაზე დაგეგმილია „კასპის ქარის ელექტროსადგურის“ (დადგმული სიმძლავრე 54 მგვტ), 110 კვ ეგხ-ის გაყვანა და 35/110 კვ ქვესადგურის მშენებლობა და ექსპლუატაცია (შემდგომში **„პროექტი“**). „კასპის ქარის ელექტროსადგურისა“ და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მშენებლობა იგეგმება საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ საპროექტოდ გამოყოფილ და კომპანიისთვის კონცესიით გადაცემულ ტერიტორიაზე.

აღნიშნულ „პროექტზე“, „სს „კავკასიის ქარის კომპანიის“ კასპის ქარის ელექტროსადგურის (დადგმული სიმძლავრე 54 მგვტ) მშენებლობისა და ექსპლუატაციის, 110 კვ ეგხ-ის გაყვანის და 110 კვ ქვესადგურის განთავსების პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 29 ნოემბრის N2-1167 ბრძანებით, გაცემულია სკოპინგის დასკვნა N126 (26.11.2019 წ., იხ. დანართები), რომლის თანახმად „კასპის ქარის ელექტროსადგურის“ საპროექტო ტერიტორია კვეთს ციხისძირის ქვიშა-ხრეშის საბადოს კონტურს.

წარმოდგენილი ტერიტორიის საბადოსთან კვეთის ფართობზე (7282 m^2) ქვიშა-ხრეშის მარაგი შეადგენს 21846 m^3-ს; „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის, პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, 1 m^3 ქვიშა-ხრეშის მოპოვებისათვის მოსაკრებელი შეადგენს 0,2 ლარს. „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „სასარგებლო წიაღისეულის საბადოს ფართობების განაშენიანება დასაშვებია, თუ განაშენიანების მსურველი წიაღისეულის მესაკუთრეს კომპენსაციის სახით გადაუხდის სასარგებლო წიაღისეულის იმ სახეობის საფასურს (შესაბამისი წიაღისეულით სარგებლობისათვის „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს

კანონით დადგენილი მოსაკრებლის ოდენობით), რომლით სარგებლობასაც იგი ზღუდავს ან აფერხებს დაგეგმილი განაშენიანებით". ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს სსიპ „წიაღის ეროვნულ სააგენტოსთან" შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, შესაძლოდ მოკლე ვადაში, გვაცნობოთ სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) საკომპენსაციო თანხის ოდენობა და თანხის ჩარიცხვასთან დაკავშირებული რეკვიზიტები (სახაზინო კოდი, ანგარიშის ნომერი, ა.შ.), რათა „კომპანიამ" უზრუნველყოს კანონმდებლობით დადგენილი კომპენსაციის გადახდა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ პროექტზე გაცემული სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული მოთხოვნის შესრულება.

<u>დანართები</u>:

- N2-1167 ბრძანება და სკოპინგის დასკვნა N126 (14 ფ.);
- 110 კვ ეგხ-ის შეიპ ფაილები (Shape files).

პატივისცემით,

ზურაბ გორდეზიანი
სს „კავკასიის ქარის კომპანიის"
გენერალური დირექტორი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
წიაღის ეროვნული სააგენტო

KA020121099205820

მისამართი: თბილისი , დავით აღმაშენებლის გამზ. N150 ტელ: **+995 591 40 40 51**: ფაქსი: **+995 32 243 95 02**

 # 22/2782 **13 / მაისი / 2020 წ.**

სს“კავკასიის ქარის კომპანია“-ის
გენერალურ დირექტორს
ბატონ ზურაბ გორდეზიანს

ბატონო ზურაბ,

თქვენი 2020 წლის 11 მაისის #014 წერილის პასუხად, გიგზავნით საბანკო რეკვიზიტებს, რომელზეც ჩარიცხული უნდა იქნას ციხისძირის ქვიშა-ხრეშის საბადოს ტერიტორიაზე განაშენიანების სანაცვლოდ განსაზღვრული საკომპენსაციო თანხა.

მიმღები ბანკი- სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი-TRESGE22

ანგარიშის ნომერი- 200122900

სახაზინო კოდი- 302003282

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის
პირველი მოადგილე

ნანა ზამთარაძე